


## დაბრუნებულ საქონელზე ჩათვლილი დღგ-ის გაუქმება N11118



- სიტუაციური სახელმძღვანელო არ განსაზღვრავს გამყიდველის საგადასახადო ვალდებულებებს და პასუხისმგებლობას დღგ - ისათვის გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისათვის.
- სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2018 წლის 10 აგვისტოსთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით და ვრცელდება წინა პერიოდებზეც.

## ანოტაცია

### დაბრუნებულ საქონელზე ჩათვლილი დღგ-ის გაუქმებაზე N11118 სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს დაბრუნებულ საქონელზე ჩათვლილი დღგ-ის გაუქმება, კორექტირების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის გარეშე.

სიტუაციური სახელმძღვანელოს დამტკიცების მიზანია განისაზღვროს კანონმდებლობის დაცვით გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით ჩათვლილი დღგ-ის გაუქმების და ჯარიმის დარიცხვის საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც დღგ-ის გადამხდელი საწარმო საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით შეძენილი საქონლის ნაწილს უბრუნებს გამყიდველს და დაბრუნება ხორციელდება გამყიდველის მიერ გამოწერილი სასაქონლო ზედნადებით, კორექტირების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის გარეშე.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულმა საწარმომ იანვრის თვეში შეიძინა საქონლის 1000 ერთეული და ამ მიწოდებაზე გამყიდველის მიერ გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე იანვრის თვის დეკლარაციით განხორციელა დღგ-ის ჩათვლა. შეძენილი საქონლის 1000 ერთეულიდან 900 ერთეული მარტის თვეში უკან დაუბრუნდა გამყიდველს, რაზედაც გამყიდველმა გამოწერა სასაქონლო ზედნადები, მაგრამ არ გამოწერა კორექტირების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. საწარმომ გამყიდველისთვის უკან მიბრუნებული საქონლის 900 ერთეულის მიხედვით იანვარში ჩათვლილი დღგ-ის თანხა არ გააუქმა და არ ასახა მარტის თვის დღგ-ის დეკლარაციაში.

სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის და მე-4 ნაწილის თანახმად, დასაბეგრი ოპერაციის თანხა კორექტირდება, როდესაც საქონელი/მომსახურება სრულად ან ნაწილობრივ უბრუნდება დღგ-ის გადამხდელს. დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირების დროს, თუ კორექტირების გამომწვევი გარემოების დადგომის შედეგად დასაბეგრი ოპერაციის თანხა იცვლება, შესაბამისი კორექტირება უნდა განხორციელდეს კორექტირების გამომწვევი გარემოების დადგომის საანგარიშო პერიოდში.

იმის გათვალისწინებით, რომ საქონლის ნაწილის დაბრუნების ფაქტი სახეზეა - გამოწერილია სასაქონლო ზედნადები, მიუხედავად იმისა, რომ კორექტირების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა არ იქნა გამოწერილი, ჩათვლის მიმღების მიერ დაბრუნებული საქონლის ოდენობაზე ჩათვლილი დღგ-ის თანხა ექვემდებარება გაუქმებას საქონლის დაბრუნების საანგარიშო პერიოდში. საწარმოს დაერიცხება კუთვნილი დღგ და დეკლარაციაში გადასახადის შემცირების შემთხვევაში დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე მუხლის შესაბამისად.

სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2018 წლის 10 აგვისტოსთვის მოქმედი  
სავადასახადო კანონმდებლობის მიხედვით და ვრცელდება წინა პერიოდებზეც.